განმცხადებელი: გიორგი ტაბატაძე

თარიღი: 03-05-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 4;პრინციპი 5;პრინციპი 10

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: ტელეკომპანია POSTV (გადაცემა მედია-რენტგენი, ჟურნალისტი ლიზა გეგეჭკორი) გაზეთი "ასავალ-დასავალი" (ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე)

სადავო მასალა: POSTV გადაცემა "მედია რენტგენი", 26/04/2023, ჟურნალისტი ლიზა გეგეჭკორი გაზეთი "ასავალ დასავალი", 2023 წლის 1-7 მაისი, N20-21, ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე

https://www.facebook.com/POSTV.Main/videos/696180185612585/?extid=CL-UNK-UNK-UNK-AN_GK0T-GK1C&mibextid=YCRy0i

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: 2023 წლის 24 აპრილს არასაჯარო, მხოლოდ ფრენდებისთვის გახსნილ ფეისბუქგვერდზე გამოვაქვეყნე შემდეგი სახის ირონიული სტატუსი: "პოლიტიკა და სპორტი ერთი და იგივეა, ლაშა ტალახაძე კი ქოცია, ქოცი კი რუსია, შესაბამისად არაფერი გასახარი და მისალოცი მის ჩემპიონობაში არ არის." ირონია ეხებოდა პირებს, რომლებიც ახდენენ პოლიტიკის ზედმეტ პოლიტიზაციას და პარტიული ნიშნით განიხილავენ ქართველ სპორტსმენებს. ქართველი სპორტსმენების მხარდამჭერი სტატუსები მანამდეც ხშირად დამიდია ფეისბუქგვერდზე. სტატუსის კომენტარებში აშკარად იკვეთება ამ სტატუსის ირონიულ-სარკასტული ხასიათი და ეს გასაგებია იმ აუდიტორიისთვის, ვისთვისაც შეიქმნა ტექსტი. რომელიღაც „ფეისბუქ-ფრენდმა“ კონტექსტიდან ამოგლეჯით, დასქრინა მხოლოდ სტატუსი და გადაუგზავნა მედია საშუალებებს, რომლებმაც ეს სტატუსი გაავრცელეს. ვფიქრობ, რომ დარღვეულია ქარტიის შემდეგი პრინციპები: პრინციპი 1. - ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. გავრცელებულ ინფორმაციაში არ არის სიმართლე და დაუცველია საზოგადოების უფლება მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რადგან სტატუსი იყო ირონიული ხასიათის, ხოლო საზოგადოებას ეს წარუდგინეს როგორც სერიოზული სტატუსი, ჩემი პოზიცია. მათ გამოაქვეყნეს საზოგადოების შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. იმავდროულად მე არ გახლავართ ილიაუნის ლექტორი. პრინციპი 4. - ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს. მიმაჩნია, რომ დამახინჯებული ინფორმაციისა და ფოტოების მოპოვება-გავრცელება მოხდა არაკეთილსინდისერი გზით. ჩემი სტატუსი იყო დახურული, მხოლოდ მეგობრებისთვის განკუთვნილი. ინფორმაციის მოპოვებისას არ გაითვალისწინეს კომენტარები, რომელიც ნათელს გახდიდა მის ირონიულ ხასიათს. ინფორმაციის გავრცელებისას მედია სუბიექტები არ დამკავშირებიან ინფორმაციის გადასამოწმებლად. ხოლო ფოტოები დაუკითხავად აიღეს ჩემი ფეისბუქგვერდიდან. პრინციპი 5. - მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ინფორმაცია იყო არსებითად არაზუსტი, რადგან არ იყო მოცემული მისი ირონიული ხასიათი. შესაბამისად, მე ფეისბუქკომენტარებში და ჩათის საშუალებით მივწერე აღნიშნულ მედია საშუალებებს და ვთხოვე ინფორმაციის აღება. რეაგირება ამას არ მოჰყოლია. პრინციპი 10. - ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. მიმაჩნია, რომ მედია საშუალებებმა პატივი არ სცეს პირადი მიმოწერის დაცულობის უფლებას - მე არ გახლავართ საჯარო ფიგურა, არ ვარ ლექტორი, სტატუსი დავდე ჩაკეტილ გვერდზე. შესაბამისად არ არსებობდა ჩემს მიმართ და ჩემი სტატუსის მიმართ საჯარო ინტერესი. ასეთ დროს განხორციელდა არასაჭირო გამოქვეყნება - შეცდომაში შემყვანი მასალა გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის (მედიაში გამოქვეყნებას სწორედ

ამგვარად განვიხილავ), რაც ჩემს მიმართ მასობრივი ბულინგის და მუქარის საფუძველი გახდა. სახეზეა პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავი მოქმედება, რომელმაც დიდი მორალური ზიანი მომაყენა. ხოლო მე არ გამაჩნია პროპორციული შესაძლებლობა რათა დავუპირისპირდე მედია საშუალებებს და ფართო საზოგადოებასთან მივიტანო სწორი ინფორმაცია. შესაბამისად, მოვითხოვ, იმსჯელოთ და შეაფასოთ ჩემს მიერ მოწოდებული ფაქტები, მოუწოდოთ აღნიშნულ მედია ორგანიზაციებს აიღონ მასალა სოციალური ქსელებიდან, ვებ-გვერდებიდან და სანაცვლოდ გამოაქვეყნონ შეცდომის აღიარება, დაადასტურონ ჩემი კერძო ცხოვრების პატივისცემა და როგორც კეთილსინდისიერება მოითხოვს, მომცენ საპასუხო წერილის გამოქვეყნების უფლება.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები